ხელშეკრულება №168
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ერთი მხრივ, ა(ა)იპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება შემდგომში -„შემსყიდველი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის - მამუკა შამილიშვილის სახით და მეორე მხრივ, შპს „csc batumi“ შემდგომში „მიმწოდებელი”, წარმოდგენილი მისი დირექტორის ამირან გოგრაჭაძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3[1] პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რაციონალური დაყოფის პრინციპით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **სტანდარტული პორტაბელური (სატარებელი) კომპიუტერი - სტანდარტული ლეპტოპის - LENOVO 250 -75 დასამუხტი მოწყობილობის შეკეთების მომსახურება (CPV - 50300000)** შესყიდვა (შემდგომში - „მომსახურება“);

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **20** (ოცი) ლარს.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით „მიმწოდებლის“ მიერ გაწეულ ყველა ხარჯს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურების მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც გაფორმდება მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევის შემდეგ და დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

5. მომსახურების გაწევის ვადა

5.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების დადებიდან 2 დღის ვადაში;

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

6.1.1. ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.1.2. მომსახურების გაწევის დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული მისთვის საჭირო დოკუმენტი.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

6.2.1.მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6.2.2.უზრუნველყოს გაწეული მომსახურების მიღება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

6.3.1 მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

6.4.1.დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

6.4.2. გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც დადგენილია ამ ხელშეკრულებით.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი გულისხმობს შემსყიდველის მიერ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

7.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს მატერიალურ-ტექნიკური განყოფილების მთ. სპეციალისტი- დავით ჩხაიძე.

7.3. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,02%-ის ოდენობით;

9.2 მიმწოდებლს, ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლო, შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით;

9.3 მიმწოდებლს, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის დაეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით;

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, მხოლოდ ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. წინამდებარე ხელშკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:

ა) ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს;

ბ) ნებისმიერი მხარის ინიციატივით, ცალმხრივად თუ მეორე მხარე არ ასრულებს ან არა ჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის თაობაზეც მას წერილობით მიეცა გაფრთხილება და დარღვევის გამოსასწორებლად განესაზღვრა დამატებითი ვადა არანაკლებ 5 დღის ოდენობით.

10.2. შემსყიდველის ინიციატივით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთვევაში, მიმწოდებელს უფლება არ აქვს მოითხოვოს მიუღებელი შემოსავლისა ან/და ზიანის ანაზღაურება.

10.3. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის განზრახვის შესახებ.

11. დავების გადაწყვეტა

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების გზით ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. დაუძლეველი ძალა

12.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12.3. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 30 დღეზე მეტ ხანს, მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13. სხვა პირობები

13.1 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო მეორე შემსყიდველს.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელშეკრულების კვალიფიციური ელეტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით დამოწმებისთანავე და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრამდე;

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	**მიმწოდებლი:**
ა(ა)იპ „ბათუმის საბავშო ბაღების გაერთიანება“	**შპს „csc batumi“**
მის: ქ. ბათუმი, პ. მელიქიშვილის ქ N25	მის: ბათუმი, ზ. გორგილაძის ქN86
საიდენტიფიკაცო კოდი: 445393510	საიდენტიფიკაცო კოდი: 448 386 425
სახელმწიფო ხაზინა	სს ,,თიბისი ბანკი''
TRESGE22	ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ნ 740737005	ა/ნ: GE52TB 756 323 608 010 00 01
მამუკა შამილიშვილი	**ამირან გოგრაჭაძე**

kindergartens union of Batumi

Digitally signed by kindergartens union of Batumi
Date: 2019.12.18 12:40:22 +04'00'